საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-08/83

ქ. ბათუმი 02.10. 2017 წელი

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მიღების გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 19 სექტემბრის N01-08/75 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 26 სექტემბრის №118 დადგენილების, ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული მოდულური პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს 2015 წლის 29 ივლისის №86 დადგენილების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 21 სექტემბრის N20 გადაწყვეტილების და პროფესიული პროგრამების მართვის სამსახურის უფროსის მამუკა გოგელიას მოხსენებითი ბარათის (28.09.2017 წლის MES 1 17 01175109) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მიღების გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 19 სექტემბრის N01-08/75 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების დანართი 1 -ში, ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის არქიტექტორ-ტექნიკოსის (IV საფეხური - მოდულური) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ადგილების რაოდენობის გრაფაში ნაცვლად 14 ადგილისა, განისაზღვროს 20 ადგილი;

ბ) ბრძანების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის მსურველთა რეგისტრაცია ასევე შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონულად შემდეგ მისამართზე - vet.emis.ge, 2017 წლის 4 ოქტომბრიდან 15 ოქტომბრის ჩათვლით."

2. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტებისა და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.

3. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ამ ბრძანების ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსება.

4. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანების შესაბამისი განცხადების ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსება.

5. წინამდებარე ბრძანება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და ფაკულტეტებს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**